ხელშეკრულება № 04-45/2
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **23 აპრილი, 2019 წ.**

შემსყიდველი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის, **მიხეილ ბატიაშვილის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №52;
ტელ.: 2200 220
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი: TRESGE22; ა/ა GE24NB0330100200165022;
საიდენტიფიკაციო კოდი 202051224;

მიმწოდებელი: შპს "ჰოლმსი და უოთსონი", წარმოდგენილი მისი დირექტორის **კონსტანტინე ჩატიდის** სახით,
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქუჩა N15 ბინა 37
ელ-ფოსტა: chatidi@221b.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი"; ბანკის კოდი: TBCBGE22; ა/ა GE14TB7731536020100001
საიდენტიფიკაციო კოდი: 405038276

ერთი მხრივ - შემსყიდველი და მეორე მხრივ - მიმწოდებელი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 03.04.2019წ. N390008 წერილის (გადაწყვეტილება), სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 05.04.2019წ. N1804 განკარგულების (SMP190001772), 16.04.2019წ. N437129; 17.04.2019წ. N445582 სამსახურებრივი ბარათების, საქართველოს მთავრობის 12.04.2019წ. N827 განკარგულების გათვალისწინებით და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროექტის "ევროპა საქართველოში"/„საქართველო ევროპაში" ფარგლებში **პროექტის მარკეტინგული კამპანიის მომსახურების (CPV:79300000; 92100000) შესყიდვა.**

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **47790,00 (ორმოცდაშვიდი ათას შვიდასოთხმოცდაათი)** ლარს:

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

№	მომსახურების აღწერილობა/ვადები	საერთო ფასი (ლარი)
1	**პროექტის მარკეტინგული კამპანია** -მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისაგან კამპანიის ბრიფის მიღებიდან 5 კვირის მანძილზე შემსყიდველს უნდა ჩაბარდეს საკომუნიკაციო კამპანიის კონცეფცია, პროექტის სახელწოდება, სლოგანი/მესიჯი ინგლისურად და ქართულად	19116
2	**პროექტის მარკეტინგული მასალის ვიზუალის შემუშავება**- ბრენდ ბუქი - ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კვირის ვადაში შემსყიდველს უნდა ჩაბარდეს სოც. მედიის (Facebook, Twitter, Youtube) ქავერებისა და პროფილ ფოტოების თემატური დიზაინი; პრესბანერის დიზაინი; შტენდერის დიზაინი; პრეზენტაციის შაბლონის დიზაინი;	6372
3	**პროექტის ლოგოს შემუშავება** - არაუგვიანეს 30 აპრილისა შემსყიდველს უნდა ჩაბარდეს პროექტისთვის შემუშავებული ლოგო, ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 კვირისა ლოგოს გამოყენების წესები	15930
4	**გრაფიკული ანიმაციის შემუშავება** - 30 აპრილიდან არაუგვიანეს 5 კვირისა დამკვეთს უნდა ჩაბარდეს ლოგოს გრაფიკული ანიმაცია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი სახის ვიდეო მასალაში	6372
	ჯამური ღირებულება	**47790**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების გაწევის პირობები და მხარეთა უფლება–მოვალეობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს დიზაინსა და სხვა სპეციფიკურ მახასიათებლებზე შემსყიდველთან შეთანხმება და საჭიროების შემთხვევაში, გაითვალისწინოს შემსყიდველის მოსაზრებები და შენიშვნები.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს განხორციელებული მომსახურების ანგარიში.

4.3 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

4.4 შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

4.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2019 წლის 5 ივნისისა, ეტაპობრივად, წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ ცხრილში მითითებული ვადების შესაბამისად.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის N52, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა.

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

6.2 ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

6.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

6.4 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6.5 დაფინანსების წყაროს წარმოადგენს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის ასიგნებები: პროგრამა - "კულტურის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა - საქართველო ევროპაში/ევროპა საქართველოში" (პროგრამული კოდი 32 10 04).

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველია წინამდებარე ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.1 პუნქტით განსაზღვრული კონტროლის განმახორციელებელი პირის დასკვნა.

7.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - შესაბამისად უფლებამოსილი პირი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს მედიასთან კომუნიკაციის სამმართველოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, ანნა გვეტაძე.

8.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის შემსყიდველისათვის მიწოდებისას კონტროლის განმახორციელებელი პირი ამოწმებს და შესაბამისი დასკვნით ადასტურებს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია.

8.4 თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი (ნაწილობრივ) შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლოს გადახდა შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

9.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას გადააჭარბებს 10 კალენდარული დღით ან/და არაჯეროვნად შეასრულებს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ასევე, გამოიყენოს ამ მუხლის 9.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობები.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.3 პუნქტში მითითებული ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.

9.6 დაკისრებული პირგასამტეხლო გადახდილ უნდა იქნას მხარისათვის აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე) შეტყობინებიდან არაუგვიანეს 1 თვის ვადისა.

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშვება ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.5 იმ შემთხვევაში როდესაც საქართველოს კანონდებლობით განისაზღვრება იმგვარი პირობა რითაც ერთერთი მხარე ვეღარ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას, შესაბამისი მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 მიმწოდებლისთვის ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ.

11.4 შემსყიდველისთვის მიერ ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა უნდა დასტურდებოდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.5 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ინტერესთა კონფლიქტი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერნი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

14.2 მხარეები ვალდებულნი არიან ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც შეასრულონ თავისი ვალდებულებები, თუ ეს ვალდებულებები წარმოიქმნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"

15. ზოგადი დებულებები

15.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა დარეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

15.4 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება შემსყიდველს, ერთი – მიმწოდებელს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ ხელმოწერით:

შემსყიდველის მხრიდან:
მინისტრი

მიხეილ ბატიაშვილი

მიმწოდებლის მხრიდან:
დირექტორი

კონსტანტინე ჩატიდი

„შემსყიდველი“ „მიმწოდებელი“

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი „23„ აპრილი, 2019 წ.

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და **შპს "ჰოლმსი და უოთსონი"-ს** (საიდენტიფიკაციო კოდი 405038276) შორის **მარკეტინგული კამპანიის მომსახურების** შესყიდვის მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების ფარგლებში მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად ვაკმაყოფილებთ კანონის ამ მოთხოვნას და არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსი /ნათია კუკულაძე/ ----------

კონტროლის აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირი:

მედიასთან კომუნიკაციის სამმართველოს შრომითი

ხელშეკრულებით დასაქმებული პირი /ანნა გვეტაძე/ ----------